	ძირითადი აქტივები	680,7	177,2	142,6	34,6	623,2	553,2	70,0
	შენობა-ნაგებობები	680,7	177,2	142,6	34,6	623,2	553,2	70,0
03 11	თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების(ძირითადი საშუალებების)სასოფლო სამეურნეო მიწის პასპორტირების სამუშაოები,	3,8	2,5	0,0	2,5	20,0	0,0	20,0



	აუდიტორული მომსახურების ხარჯები							
	ხარჯები	3,8	2,5	0,0	2,5	20,0	0,0	20,0
	საქონელი და მომსახურება	3,8	2,5	0,0	2,5	20,0	0,0	20,0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3,8	2,5	0,0	2,5	20,0	0,0	20,0
03 12	ხეცების გაწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები	427,6	313,3	279,0	34,3	249,5	174,5	75,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	427,6	313,3	279,0	34,3	249,5	174,5	75,0
	ძირითადი აქტივები	427,6	313,3	279,0	34,3	249,5	174,5	75,0
	შენობა-ნაგებობები	427,6	313,3	279,0	34,3	249,5	174,5	75,0
03 13	გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების, მინისპორტული მოედნების მოწყობის, მოვლა შენახვისა და გამწვანების ღონისძიებების ხარჯი	293,2	92,2	58,0	34,3	73,3	23,3	50,0
	ხარჯები	4,9	34,3	0,0	34,3	50,0	0,0	50,0
	სუბსიდიები	4,9	34,3		34,3	50,0	0,0	50,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	288,2	58,0	58,0	0,0	23,3	23,3	0,0
	ძირითადი აქტივები	288,2	58,0	58,0	0,0	23,3	23,3	0,0
	შენობა-ნაგებობები	288,2	58,0	58,0	0,0	23,3	23,3	0,0
03 16	კეთილმოწყობის ღონისძიებები	377,6	21,3	21,3	0,0	17,7	17,7	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	377,6	21,3	21,3	0,0	17,7	17,7	0,0
	ძირითადი აქტივები	377,6	21,3	21,3	0,0	17,7	17,7	0,0
	შენობა-ნაგებობები	377,6	21,3	21,3	0,0	17,7	17,7	0,0
04 00	განათლება	1 082,3	1 325,1	260,2	1 064,9	1 738,9	504,9	1 234,0
	ხარჯები	778,4	1 132,9	68,0	1 064,9	1 234,4	0,4	1 234,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,4	0,4	0,0



	ოფისის ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	0,4	0,4	0,0
	სუბსიდიები	778,4	1 132,9	68,0	1 064,9	1 234,0	0,0	1 234,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	303,9	192,2	192,2	0,0	504,5	504,5	0,0
	ძირითადი აქტივები	303,9	192,2	192,2	0,0	504,5	504,5	0,0
	შენობა-ნაგებობები	303,9	191,7	191,7	0,0	501,8	501,8	0,0
	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0,0	0,5	0,5	0,0	2,7	2,7	0,0
04 01	სკოლამდელი განათლება	1 051,3	1 176,3	141,4	1 034,9	1 704,9	504,9	1 200,0
	ხარჯები	756,4	1 102,9	68,0	1 034,9	1 200,4	0,4	1 200,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,4	0,4	0,0
	ოფისის ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	0,4	0,4	0,0
	სუბსიდიები	756,4	1 102,9	68,0	1 034,9	1 200,0	0,0	1 200,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	294,9	73,4	73,4	0,0	504,5	504,5	0,0
	ძირითადი აქტივები	294,9	73,4	73,4	0,0	504,5	504,5	0,0
	შენობა-ნაგებობები	294,9	72,9	72,9	0,0	501,8	501,8	0,0
	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	0,0	0,5	0,5	0,0	2,7	2,7	0,0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	9,0	118,8	118,8	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,0	118,8	118,8	0,0	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	9,0	118,8	118,8	0,0	0,0	0,0	0,0
	შენობა-ნაგებობები	9,0	118,8	118,8	0,0	0,0	0,0	0,0
04 03	მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი	22,0	30,0	0,0	30,0	34,0	0,0	34,0
	ხარჯები	22,0	30,0	0,0	30,0	34,0	0,0	34,0
	სუბსიდიები	22,0	30,0		30,0	34,0		34,0



05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3 686,9	1 031,7	181,5	850,2	1 026,3	203,7	822,6
	ხარჯები	820,9	857,9	7,7	850,2	822,6	0,0	822,6
	საქონელი და მომსახურება	159,4	95,2	7,7	87,5	58,0	0,0	58,0
	ოფისის ხარჯები	83,2	7,7	7,7	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	76,2	87,5	0,0	87,5	58,0	0,0	58,0
	სუბსიდიები	661,4	762,7	0,0	762,7	764,6	0,0	764,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2 866,1	173,8	173,8	0,0	203,7	203,7	0,0
	ძირითადი აქტივები	2 866,1	173,8	173,8	0,0	203,7	203,7	0,0
	შენობა-ნაგებობები	2 866,1	173,8	173,8	0,0	203,7	203,7	0,0
05 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	8,8	9,1	0,0	9,1	18,0	0,0	18,0
	ხარჯები	8,8	9,1	0,0	9,1	18,0	0,0	18,0
	საქონელი და მომსახურება	8,8	9,1	0,0	9,1	18,0	0,0	18,0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	8,8	9,1	0,0	9,1	18,0	0,0	18,0
05 02	ა(ა)იპ "სპორტსკოლა"	48,1	48,1	0,0	48,1	49,8	0,0	49,8
	ხარჯები	48,1	48,1	0,0	48,1	49,8	0,0	49,8
	სუბსიდიები	48,1	48,1		48,1	49,8		49,8
05 03	ა(ა)იპ "ქ.გურჯაანის სპორტული კომპლექსი"	55,1	52,6	0,0	52,6	51,1	0,0	51,1
	ხარჯები	55,1	52,6	0,0	52,6	51,1	0,0	51,1
	სუბსიდიები	55,1	52,6		52,6	51,1		51,1
05 04	ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა „გურჯაანი“	45,6	49,4	0,0	49,4	51,6	0,0	51,6



	ხარჯები	45,6	49,4	0,0	49,4	51,6	0,0	51,6
	სუბსიდიები	45,6	49,4		49,4	51,6		51,6
05 05	ა(ა)იპ „რევაზ მინდორაშვილის სახელობის გურჯაანის ჭიდაობის სკოლა“	34,0	35,0	0,0	35,0	36,0	0,0	36,0
	ხარჯები	34,0	35,0	0,0	35,0	36,0	0,0	36,0
	სუბსიდიები	34,0	35,0		35,0	36,0		36,0
05 06	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სპორტული დარბაზის სარემონტო სამუშაოები	2 870,5	68,5	68,5	0,0	125,7	123,7	2,0
	ხარჯები	83,2	7,7	7,7	0,0	2,0	0,0	2,0
	საქონელი და მომსახურება	83,2	7,7	7,7	0,0	2,0	0,0	2,0
	ოფისის ხარჯები	83,2	7,7	7,7	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	2,0	0,0	2,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2 787,3	60,8	60,8	0,0	123,7	123,7	0,0
	ძირითადი აქტივები	2 787,3	60,8	60,8	0,0	123,7	123,7	0,0
	შენობა-ნაგებობები	2 787,3	60,8	60,8	0,0	123,7	123,7	0,0
05 07	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	16,9	22,0	0,0	22,0	20,0	0,0	20,0
	ხარჯები	16,9	22,0	0,0	22,0	20,0	0,0	20,0
	საქონელი და მომსახურება	16,9	22,0	0,0	22,0	20,0	0,0	20,0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	16,9	22,0	0,0	22,0	20,0	0,0	20,0
05 08	ა(ა)იპ „გურჯაანის სამბატერო სკოლა“	18,5	18,5	0,0	18,5	18,5	0,0	18,5
	ხარჯები	18,5	18,5	0,0	18,5	18,5	0,0	18,5
	სუბსიდიები	18,5	18,5		18,5	18,5		18,5



05 09	ა(ა)იპ „ გურჯაანის საბიბლიოთეკო გაერთიანება"	61,8	73,5	0,0	73,5	73,0	0,0	73,0
	ხარჯები	61,8	73,5	0,0	73,5	73,0	0,0	73,0
	სუბსიდიები	61,8	73,5		73,5	73,0		73,0
05 10	კულტურის სახლები	108,8	130,4	7,9	122,5	102,2	14,9	87,3
	ხარჯები	105,8	122,5	0,0	122,5	87,3	0,0	87,3
	სუბსიდიები	105,8	122,5		122,5	87,3		87,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,0	7,9	7,9	0,0	14,9	14,9	0,0
	ძირითადი აქტივები	3,0	7,9	7,9	0,0	14,9	14,9	0,0
	შენობა-ნაგებობები	3,0	7,9	7,9	0,0	14,9	14,9	0,0
05 11	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ველისციხის თეატრი"	39,5	63,7	33,7	30,0	33,8	0,0	33,8
	ხარჯები	30,5	30,0	0,0	30,0	33,8	0,0	33,8
	სუბსიდიები	30,5	30,0		30,0	33,8		33,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	9,0	33,7	33,7	0,0	0,0	0,0	0,0
	ძირითადი აქტივები	9,0	33,7	33,7	0,0	0,0	0,0	0,0
	შენობა-ნაგებობები	9,0	33,7	33,7	0,0	0,0	0,0	0,0
05 12	ს.ს.ი.პ. „ქ. გურჯაანის თოჯინების თეატრი"	27,0	29,5	0,0	29,5	30,0	0,0	30,0
	ხარჯები	27,0	29,5	0,0	29,5	30,0	0,0	30,0
	სუბსიდიები	27,0	29,5		29,5	30,0		30,0
05 13	მუზეუმები	134,0	96,4	2,9	93,5	129,5	36,0	93,5
	ხარჯები	77,6	93,5	0,0	93,5	93,5	0,0	93,5
	სუბსიდიები	77,6	93,5		93,5	93,5		93,5



	არაფინანსური აქტივების ზრდა	56,4	2,9	2,9	0,0	36,0	36,0	0,0
	პირითადი აქტივები	56,4	2,9	2,9	0,0	36,0	36,0	0,0
	შენობა-ნაგებობები	56,4	2,9	2,9	0,0	36,0	36,0	0,0
05 14	მუსიკალური კოლექტივები	67,5	83,8	20,0	63,8	92,8	14,8	78,0
	ხარჯები	60,5	63,8	0,0	63,8	78,0	0,0	78,0
	სუბსიდიები	60,5	63,8		63,8	78,0		78,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,0	20,0	20,0	0,0	14,8	14,8	0,0
	პირითადი აქტივები	7,0	20,0	20,0	0,0	14,8	14,8	0,0
	შენობა-ნაგებობები	7,0	20,0	20,0	0,0	14,8	14,8	0,0
05 15	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი , ცეკვის ანსამბლი გურჯაანი,,	37,5	38,5	0,0	38,5	37,5	0,0	37,5
	ხარჯები	37,5	38,5	0,0	38,5	37,5	0,0	37,5
	სუბსიდიები	37,5	38,5		38,5	37,5		37,5
05 16	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ბავშვთა და მოზარდთა ვოკალურ ქორეოგრაფიული ანსამბლი ცერული I,,	11,0	11,0	0,0	11,0	11,0	0,0	11,0
	ხარჯები	11,0	11,0	0,0	11,0	11,0	0,0	11,0
	სუბსიდიები	11,0	11,0		11,0	11,0		11,0
05 17	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	38,2	40,8	0,0	40,8	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	38,2	40,8	0,0	40,8	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	38,2	40,8	0,0	40,8	0,0	0,0	0,0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	38,2	40,8	0,0	40,8	0,0	0,0	0,0
05 18	ა(ა)იპ „გურჯაანის მუნიციპალური მაცნე“	42,5	42,5	0,0	42,5	42,5	0,0	42,5



	ხარჯები	42,5	42,5	0,0	42,5	42,5	0,0	42,5
	სუბსიდიები	42,5	42,5		42,5	42,5		42,5
05 19	სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები	9,4	76,7	48,6	28,1	14,3	14,3	0,0
	ხარჯები	5,9	28,1	0,0	28,1	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები	5,9	28,1		28,1	0,0		0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,5	48,6	48,6	0,0	14,3	14,3	0,0
	ძირითადი აქტივები	3,5	48,6	48,6	0,0	14,3	14,3	0,0
	შენობა-ნაგებობები	3,5	48,6	48,6	0,0	14,3	14,3	0,0
05 20	ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება	12,4	15,5	0,0	15,5	18,0	0,0	18,0
	ხარჯები	12,4	15,5	0,0	15,5	18,0	0,0	18,0
	საქონელი და მომსახურება	12,4	15,5	0,0	15,5	18,0	0,0	18,0
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	12,4	15,5	0,0	15,5	18,0	0,0	18,0
05 21	ა(ა)იპ „მრავალჯამიერი 1“	0,0	26,2	0,0	26,2	71,0	0,0	71,0
	ხარჯები	0,0	26,2	0,0	26,2	71,0	0,0	71,0
	სუბსიდიები	0,0	26,2		26,2	71,0		71,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	834,7	902,2	0,0	902,2	971,2	0,0	971,2
	ხარჯები	834,7	902,2	0,0	902,2	971,2	0,0	971,2
	სუბსიდიები	196,6	209,2	0,0	209,2	205,2	0,0	205,2
	სოციალური უზრუნველყოფა	638,1	693,0	0,0	693,0	766,0	0,0	766,0
	სოციალური დაზღვევა	2,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0



	სოციალური დახმარება	635,6	693,0	0,0	693,0	766,0	0,0	766,0
06 01	ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური“	67,0	79,6	0,0	79,6	75,6	0,0	75,6
	ხარჯები	67,0	79,6	0,0	79,6	75,6	0,0	75,6
	სუბსიდიები	67,0	79,6		79,6	75,6		75,6
06 03	ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები	5,8	3,5	0,0	3,5	11,0	0,0	11,0
	ხარჯები	5,8	3,5	0,0	3,5	11,0	0,0	11,0
	სოციალური უზრუნველყოფა	5,8	3,5	0,0	3,5	11,0	0,0	11,0
	სოციალური დახმარება	5,8	3,5	0,0	3,5	11,0	0,0	11,0
06 04	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	68,1	234,9	0,0	234,9	220,0	0,0	220,0
	ხარჯები	68,1	234,9	0,0	234,9	220,0	0,0	220,0
	სოციალური უზრუნველყოფა	68,1	234,9	0,0	234,9	220,0	0,0	220,0
	სოციალური დახმარება	68,1	234,9	0,0	234,9	220,0	0,0	220,0
06 05	სოციალური დაუცველი პირების დახმარება	103,0	105,0	0,0	105,0	120,0	0,0	120,0
	ხარჯები	103,0	105,0	0,0	105,0	120,0	0,0	120,0
	სოციალური უზრუნველყოფა	103,0	105,0	0,0	105,0	120,0	0,0	120,0
	სოციალური დახმარება	103,0	105,0	0,0	105,0	120,0	0,0	120,0
06 06	სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება	368,4	316,8	0,0	316,8	220,0	0,0	220,0
	ხარჯები	368,4	316,8	0,0	316,8	220,0	0,0	220,0
	სოციალური უზრუნველყოფა	368,4	316,8	0,0	316,8	220,0	0,0	220,0
	სოციალური დახმარება	368,4	316,8	0,0	316,8	220,0	0,0	220,0



06 07	ხანძრით, მიწისძვრით და სხვა ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება	48,4	21,8	0,0	21,8	40,0	0,0	40,0
	ხარჯები	48,4	21,8	0,0	21,8	40,0	0,0	40,0
	სოციალური უზრუნველყოფა	48,4	21,8	0,0	21,8	40,0	0,0	40,0
	სოციალური დახმარება	48,4	21,8	0,0	21,8	40,0	0,0	40,0
06 08	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის „თელავის სამხარეო ნარკოლოგიურ ცენტრში“ განთავსებულ ჩანაცვლებითი თერაპიის სამედიცინო ბრიგადაში ჩართული პაციენტების მკურნალობის თანხის თანადაფინანსება	2,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	2,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	2,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სოციალური დაზღვევა	2,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 09	მშობიარეების ერთჯერადი დახმარება	31,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	31,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	31,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სოციალური დახმარება	31,6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
06 10	უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი	0,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,0	5,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,0	5,0
	სოციალური დახმარება	0,0	0,0	0,0	0,0	5,0	0,0	5,0
06 11	ა(ა)იპ მოქალაქეთა თანადგომა	129,6	129,6	0,0	129,6	129,6	0,0	129,6
	ხარჯები	129,6	129,6	0,0	129,6	129,6	0,0	129,6
	სუბსიდიები	129,6	129,6		129,6	129,6		129,6



06 12	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	10,4	11,0	0,0	11,0	150,0	0,0	150,0
	ხარჯები	10,4	11,0	0,0	11,0	150,0	0,0	150,0
	სოციალური უზრუნველყოფა	10,4	11,0	0,0	11,0	150,0	0,0	150,0
	სოციალური დახმარება	10,4	11,0	0,0	11,0	150,0	0,0	150,0

**თავი II**  
**ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 15. გურჯაანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროექტები**

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით, მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის ღონისძიებები. მოსახლეობისათვის სტიქიური მოვლენების დროს დახმარების გასაწევად სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სახანძრო-სამაშველო სამსახურის ოპერატიული მოქმედება, მათი მზადყოფნა დროული და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად.

ა) საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის აღწერა: ხანძრისა და სტიქიური უბედურების შემთხვევების დროს მოსახლეობისა და მათი ქონების დასაცავად ადგილზე დროული მისვლა და კვალიფიციური დახმარების აღმოჩენა; საგანგებო სიტუაციების სალიკვიდაციო სამუშაოების განხორციელება;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

· საგანგებო სიტუაციების თავიდან აცილება, მათი შედეგების სწრაფი და ეფექტური ლიკვიდაცია. საგანგებო სატუაციებისას უბედური შემთხვევების მინუმამდე დაყვანა. მოსახლეობისა და გარემოს სახანძრო უსაფრთხოების დაცვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გამოძახების რაოდენობა; დროულად ლოკალიზებული და ლიკვიდირებული შემთხვევების რაოდენობა; მიყენებული ზარალის რაოდენობა

ბ) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

v პროგრამის აღწერა :

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

· არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

თავდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული გეგმის მაქსიმალური შესრულება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გაწვეულთა რაოდენობა.



2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

v მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, გათვალისწინებულია წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები. გატარდება კეთილმოწყობის ღონისძიებები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

v ქვეპროგრამები:

vსაგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (03 01 )

v კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (03 02 )

v კეთილმოწყობის სამუშაოები (03 04)

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების მოვლა-შენახვა და რეაბილიტაცია

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მუნიციპალიტეტის საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- მოსახლეობის შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის შენარჩუნება და გაუმჯობესება

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია

(პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამწვანების ღონისძიებების, დასუფთავებისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, წყლის სიტემებისა და გარე განათების ქსელების რეაბილიტაცია- ექსპლოატაციის ღონისძიებების განხორციელება.

გამართული კომუნალური ინფრასტრუქტურა

განათებული მუნიციპალიტეტი;

გაუმჯობესებული სანიტარული პირობები;

გაუმჯობესებული წყალმომარაგება

ბ.ა.) ბინათმშენებლობის ღონისძიებები

(პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სარეაბილიტაციო სამუშაოები;

მოსალოდნელი შუალედური შედეგი



· მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კმაყოფილების დონის ზრდა.

ბ.ბ) წყლის სისტემების რეაბილიტაცია - ექსპლოატაცია.

(პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები;

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

· მოსახლეობის წყალმომარაგების მდგომარეობის გაუმჯობესება.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის კმაყოფილების დონის ზრდა

ბ.გ) ა(ა)იპ „გურჯაანის მუნიციპალური სერვისი“

(პროგრამული კოდი 03 02 03)

პროექტის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების წყლის სათავე ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

· სოფლების მოსახლეობის სასმელი წყლის მომარაგების რეგულირება და დაზიანების სწრაფი აღმოფხვრა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით შექმნილი შეფერხებების მაქსიმალურად მოკლე ვადაში აღმოფხვრა და დაზიანებების შემცირების ხელშეწყობა.

ბ.დ) გარე განათება (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული ქსელის მოვლა - პატრონობა; მომსახურების ხარისხიანობის დონის ამაღლება; მოხმარებული ელ. ენერჯის ღირებულების დაფარვა;

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

· ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

· კრიმინალური ფაქტორების შემცირება;

· განათებული ქუჩების რაოდენობა და განათების ინტენსივობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· მაქსიმალურად განათებული ქალაქისა და სოფლის ცენტრალური ქუჩები.

ბ.ე) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად და მუნიციპალიტეტის სოფლებიდან კვირაში ორჯერ განხორციელდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ყოველდღიურად დაიგვება ქალაქის ქუჩები, სკვერები, ბალები და მოედნები. თვეში ორჯერ დასუფთავდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალი ცენტრალური მაგისტრალის (55კმ) მიმდებარე ტერიტორია და მოხდება ქალაქ



გურჯაანში ნონეშვილისა და წმ.ნინოს ქუჩების გადარეცხვა.

#### შუალედური შედეგი

· ეკოლოგიური და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ქალაქის ტერიტორიაზე დაგვილი და დასუფთავებული ქუჩების რაოდენობის ზრდა;
- მოსახლეობაზე ორიენტირებული სუფთა და ეკოლოგიური გარემოს შექმნა

ბ.ვ) ა(ა)იპ „ნიადაგის, წყალმომარაგებისა და დასუფთავების წესებზე ზედამხედველობის სამსახური“ (პროგრამული კოდი 03 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნიადაგისა და წყლის საანალიზო სინჯების აღება არსებული სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლის; მასობრივი არაგადამდები დაავადებებისა და მოშხამვების აღმოცენების მიზეზების აღმოჩენის; ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და სხვა აუცილებელი ლაბორატორიული კვლევისა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მათი შესაძლო მავნე ზეგავლენის შეფასების მიზნით.

#### შუალედური შედეგი

· ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები

· მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოზე ზრუნვის ხელშეწყობა. ჯანმრთელი და არაინფიცირებული მოსახლეობის რაოდენობა.

გ) სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების აზომვითი ნახაზების მომზადების, ძირითადი ქონების აუდიტორული შეფასების სამუშაოები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხევების გაწმენდისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები.

გ.ა) თვითმმართველობის საკუთრებაში გადმოსაცემი ქონების, არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწების პასპორტირებისა და აუდიტორული მომსახურება. (პროგრამული კოდი 03 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება აუქციონზე გასაყიდად გასატანი მიწებისა და ძირითადი ქონების შეფასება.

#### მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ადგილობრივი შემოსავლების გაზრდა;
- მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა;
- მუნიციპალური შენობების იერსახის გაუმჯობესება.

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა.
- ინვესტიციების ზრდა.

გ.ბ) ხევების რეაბილიტაციისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები. (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხევების პრევენციული გაწმენდა-რეაბილიტაცია



## მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- საცხოვრებელი სახლების, სასოფლო - სამეურნეო სავარგულებისა და სოფლის გზების დატბორვის საშიშროების აღმოფხვრა;
- ტრანსპორტის შეუფერხებელი გადაადგილება.

## შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ხევებზე წყალგამტარიანობის გაუმჯობესება;
- უსაფრთხო, გაწმენდილი ხევების რაოდენობის ზრდა.

## დ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები

### (პროგრამული კოდი 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული სკვერების მოვლა - გამწვანების სამუშაოები და ცენტრალურ ქუჩებზე მწვანე საფარის მოვლა-პატრონობის სამუშაოები

## შუალედური შედეგი

- მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება;
- ჯანსაღი გარემოს, ეკოლოგიური მდგომარეობის ხელშეწყობა.

## შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება;
- მოვლილი და აღდგენილი სკვერების რაოდენობის ზრდა.

### 3.განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

სკოლამდელი განათლების და პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობი ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

## ა) სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების დაფინანსება

### (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 37 სკოლამდელი -სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც სწავლობს 2100 აღსაზრდელი. გათვალისწინებულია დღეში ორჯერადი კვება, თითოეულ ბავშვზე კვების ხარჯი დღეში 0,95 ლარს შეადგენს

## მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- აღსაზრდელთა შესაბამისი პირობებით უზრუნველყოფა
- საბავშვო ბაგა-ბაღებში გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი

## შედეგების შეფასების ინდიკატორები

- სათანადოდ აღჭურვილი საბავშვო ბაღების რაოდენობა;
- აღსაზრდელთა რაოდენობა

## ბ) პროფესიული განათლების ხელშეწყობა



(პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი“ დაფინანსება. ბავშვთა პიროვნული განვითარებისა და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნებისა და პროფესიული დაოსტატების ხელშემწყობი ღონისძიებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

· მოზარდთა შემოქმედებით - საგანმანათლებლო ღონისძიებები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· მოზარდთა დაინტერესების ზრდა და მათი შემოქმედებით საგანმანათლებლო აქტივობის ამაღლება.

#### 4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტული და კულტურული ობიექტების, სახელოვნებო სკოლების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების ასევე სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება. ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

-სპორტის განვითარების ხელშეწყობა

-კულტურის განვითარების ხელშეწყობა

-ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

##### ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტის სხვადასხვა სახეობაში (ჭიდაობა, ფეხბურთი, ჭადრაკი, კრივი, ფრენბურთი, კალათბურთი, მკლავჭიდი, რაგბი) ახალგაზრდობის ჩართულობა; ჩასატარებელ რაიონულ და საქალაქთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა და მათი ჩატარების ორგანიზება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

· სპორტული ღონისძიებისა და სრულყოფილი სასპორტო საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;

· ახალგაზრდობის სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართულ მოზარდთა რაოდენობის ზრდა;

· ჩატარებულ ღონისძიებების რაოდენობა.

##### ა.ა) სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აიპ სპორტული სკოლის, აიპ ე. გურჯაანის სპორტული კომპლექსის, ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლა ``გურჯაანის``, აიპ რევაზ მინდორაშვილის სახელობის ჭიდაობის სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

2014 წლის განმავლობაში დაფინანსდება ჭადრაკის, ფეხბურთის, ჭიდაობის (ქართული, თავისუფალი, ძიუდო), კრივის, რაგბის, მკლავჭიდის, კალათბურთის, ფრენბურთის, კარატესა და ცურვის შემსწავლელი წრეები. ჩატარდება კომპლექსური სპარტაკიადები.



სპორტულ სკოლებში სულ დასაქმებულია 30 მწვრთნელი, რომელიც ემსახურება 538 ბავშვის აღზრდას.

#### ა.ბ) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: ტურნირი მკლავჭიდში, გიორგი ქიტესაშვილის სახელობის თასის გათამაშება ჭადრაკში, ბაჩანა კახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, კომპლექსური სპარტაკიადა მოსწავლეთა შორის, საგაზაფხულო პირველობა მინი ფეხბურთში, რევაზ მინდორაშვილის სახელობის ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, გურჯაანის ღია პირველობა რაგბში, მერაბ კუპრაშვილის ხსოვნის ტურნირი მინი ფეხბურთში, ზურაბ ზურაბაშვილის ხსოვნის ტურნირი ფრენბურთში, კომპლექსური სპარტაკიადა მოსწავლეთა შორის, რეგიონალური ტურნირი კრივში, ტრადიციული ტურნირი ძიუდოში კადეტთა შორის, დიდი საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, საშობაო ტურნირი ჭადრაკში, ღია პირველობა კროსში და სხვა ტრადიციული სპორტული ტურნირები და ღონისძიებები.

აღმიწული ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდობის ჩართულობას სპორტულ ცხოვრებაში

მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ქვეყნის ნაკრები გუნდები შეივსება ახალგაზრდა პერსპექტიული გურჯაანელი სპორტსმენებით;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;
- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტულ ჯგუფებსა და სექციებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობის ზრდა.
- სპორტულ ტურნირებში პრიზიორების რაოდენობის ზრდა

#### ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა. (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების: ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნო სკოლების, თეატრების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვა და სხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები

#### ბ.ა) კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი აფინანსებს ა(ა)იპ „საბიბლიოთეკო გაერთიანებას“ მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილება მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები), ხელსაყრელი პირობების შექმნის, პიროვნების შემოქმედებითი განვითარების, შესაბამისი პროფილის საბიბლიოთეკო დოკუმენტების შეგროვება, დაცვის და ამ დოკუმენტებით მოსახლეობის მომსახურების მიზნით.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „კულტურის ცენტრი“, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის, ქართული ფოლკლორის, ხელოვნების სხვა დარგების დაცვა და პოპულარიზაცია, მოსახლეობის შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და განვითარება.

მუნიციპალიტეტი აფინანსებს ააიპ სამუსიკო სკოლების გაერთიანებას და ააიპ „სამხატვრო სკოლას“. სასწავლებელი მოიცავს შემდეგ დარგებს: საფორტეპიანო, ვიოლინო, მუზიცირება, სამხატვრო ხელოვნება. სახელოვნო სასწავლებლების ამზადებს კადრებს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად.

ასევე ფინანსდება ააიპ „მრავალჟამიერი 1“, რომლის მიზანია ასწავლოს და შეინარჩუნოს ქართული ხალხური ფოლკლორული სიმღერები.



აიპ ``ველისციხე თეატრის`` და სსიპ ``თოჯინების თეატრის`` დაფინანსება ხორციელდება თეატრის ძირითად ფუნქციებს, მიზნებსა და საქმიანობის: წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის წარმოდგენებისა და შემოქმედებითი პროექტების განხორციელების, თეატრალური ხელოვნების პროპაგანდისა და მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა-დაოსტატება ხელშეწყობის მიზნით.

პროგრამის მიზანია მოსწავლეთა მიერ შესაბამისი სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისება, ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება. კონკურსებში, ფესტივალებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა და წარმოჩენა.

#### ბ.ბ) კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

აღნიშნული პროგრამით ფინანსდება: ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პოეზიის საღამო, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, თინათინ მღვდლიაშვილის შემოქმედებითი საღამო, გივი ბერიკაშვილის შემოქმედებითი საღამო, ცეკვავენ და მღერიან ინტელექტუალები, ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ნატოობა, ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნის საღამო, მზია დავითაშვილის შემოქმედებითი საღამო, შეხვედრა დათო ტურაშვილთან, ფესტივალი „ვაზის საგალობელი“ ღონისძიება „გურჯაანობა“, საახალწლო ღონისძიება, ტურისტული გზამკვლევის გაკეთება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიული ძეგლების სააღრიცხვო ბარათების დამზადება და ბაზის შექმნა. კულტურული ღონისძიებების ჩატარება ხელს შეუწყობს ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას.

#### მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დიდი ნაწილის მონაწილეობა კულტურულ ცხოვრებაში;
- ნიჭიერი შემოქმედების წარმოჩინება და ხელის შეწყობა;
- მოსწავლეთა კულტურულ - საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

#### შედეგების შეფასების ინდიკატორები

- კულტურის სხვადასხვა დარგში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა;
- ახალგაზრდების თავისუფალი დროის შინაარსობრივი და ეფექტური ხარჯვა;

#### გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება საშობაო მსვლელობა, ინტელექტუალური თამაში რა სად როდის, ახალი თაობა -2014წ მანსანკალი, სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ეროვნული პარკებისა და ნაკრძალების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დასუფთავების აქცია, გაზაფხულის ფესტივალი, ფოტო კონკურსი, დასუფთავების საერთაშორისო დღე, დასუფთავების აქცია, რა, სად, როდის“ ში გამარჯვებული ბავშვების ექსკურსია ყაზბეგში, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესადმი მიძღვნილი ღონისძიება, შიდა გაცვლითი პროგრამა ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე, დასუფთავების აქცია. წარჩინებული მოსწავლეების ექსკურსია პრომეთეს მღვიმეში. ლაშქრობა ჭერემში. ექსკურსია მთა -თუშეთში. პოეზიის საღამო. გაცვლითი პროგრამა რეგიონის ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ახალი სასწავლო წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიება დამალული განძის მოძიება, შეხვედრა გურჯაანის ეთნიკური უმცირესობის ახალგაზრდობასთან, საახალწლო კაფე საღამო, ამ ღონისძიებების მიზანია ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიულ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება

#### მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- თავისუფალი დროის რაციონალური ხარჯვა;
- ინტელექტუალური დონის ამაღლება.



## შედეგების შეფასების ინდიკატორები

- წარმატებული და ინიციატივიანი, საზოგადოებრივად აქტიური, ინფორმირებული ახალგაზრდები;
- ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა.

### დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებებს

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- მოვლილი და დასუფთავებული სასაფლაოები

## შედეგების შეფასების ინდიკატორები

- კმაყოფილი მოსახლეობა.

### 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

#### ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიხედვით განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლენა და დაავადებების აღმოფხვრის მიზეზთა და რისკფაქტორთა დადგენა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

- ეპიდემიოლოგიური დაავადებების შემცირება

## შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ინფორმირებული მოსახლეობის ზრდის მაჩვენებელი.
- ჩატარებული ღონისძიებების ზრდის მაჩვენებელი

#### ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

#### ბ.ა) ვეტერანთა სარიტუალო ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 01)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ომის ვეტერანთა ოჯახებისათვის დაკრძალვის, სარიტუალო მომსახურებისათვის ფინანსური დახმარება თითოეულზე 250 ლარის ოდენობით.

#### ბ.ბ) „ახალშობილთა დახმარების“ პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 02)



„ახალშობილთა დახმარების“ პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების მატერიალური დახმარება ყოველ ახალშობილზე. (თითოეულზე 300 ლარის ოდენობით)

ბ.გ) სოციალურად დაუცველ მოსახლეობის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოციალურად დაუცველ მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

ბ.დ) სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 04)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურებისათვის თანადაფინანსებას.

ბ.ე) ხანძრით, მიწისძვრითა და სხვა ბუნებრივი კატასტროფებით დაზარალებული მოსახლეობის დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05)

დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება.

ბ.ვ) მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჩანაცვლებითი თერაპიის სამედიცინო ბრიგადაში ჩართულ პაციენტთა მკურნალობის თანხის თანადაფინანსება.

(პროგრამული კოდი 06 02 06)

ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მკურნალობის თანხის თანადაფინანსება

ბ.ზ) ააიპ „მოქალაქეთა თანადგომა“ (პროგრამული კოდი 06 02 07)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი 165 ბენეფიციარის ყოველდღიური, უფასო კვების უზრუნველყოფა.

ბ.თ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08)

მრავალშვილიანი ოჯახების (4 და მეტ შვილზე (18 წლამდე)) ყოველთვიური მატერიალური დახმარება (თითოეულ ბავშვზე 50 ლარის ოდენობით.)

ბ.ი) უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 09)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო მიცვალებულების დაკრძალვის ხარჯებს.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი

· ბენეფიციართა მიმართ მუნიციპალიტეტის მხრიდან ყურადღებისა და თანადგომის გამოვლენა

შედეგების შეფასების ინდიკატორები

· წარმატებული სოციალური პროექტების ზრდა

· კმაყოფილი მოსახლეობა

